პროფესიული მომზადების/პროფესიული
გადამზადების პროგრამის განხორციელების
უფლების მიმნიჭებელი საბჭო

05/11/2024

MES 4 24 0001420781

**გადაწყვეტილება**

**„სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯის „ადაპტური ფიზიკური აღზრდის სპეციალისტი“ ქ. თბილისში პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ“ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2024 წლის 1 ოქტომბრის №1243851 გადაწყვეტილებაში ცვლილების შესახებ**

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობის, პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

**საბჭომ გადაწყვიტა:**

1. ცვლილება განხორციელდეს „სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯის „ადაპტური ფიზიკური აღზრდის სპეციალისტი“ ქ. თბილისში პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ“ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2024 წლის 1 ოქტომბრის №1243851 გადაწყვეტილებაში, კერძოდ გადაწყვეტილების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით „სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯის „ადაპტური ფიზიკური აღზრდის სპეციალისტი“ ქ. თბილისში პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ“
2. ცვლილება განხორციელდეს „სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯის „ადაპტური ფიზიკური აღზრდის სპეციალისტი“ ქ. თბილისში პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ“ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2024 წლის 1 ოქტომბრის №243851 გადაწყვეტილებაში, კერძოდ გადაწყვეტილების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით „სსიპ -

საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯს (ს/კ: 202949159) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული გადამზადების პროგრამა - ადაპტური ფიზიკური აღზრდის სპეციალისტი /02005/ ქ. თბილისში **(დანართი).**

3. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2024 წლის 5 ნოემბრის №1418516 ოქმის პირველი ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
4. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით. მისამართი: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბაბალაშვილი ნინო

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს მდივანი
გამყრელიძე გიორგი

ეროვნული ბიბლიოთეკა
ფფსმ ეროვნული ბიბლიოთეკა

**დანართი**

| **პროგრამის კოდი** | **პროგრამის დასახელება** | **პროგრამის სახე** | **ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე** | **პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში** | **სწავლების ენა** | **მსმენელთა ზღვრული რაოდენობა** | **პროგრამის განხორციელების ადგილი** |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 02005 | ადაპტური ფიზიკური აღზრდის სპეციალისტი | პროფესიული გადამზადება | მეოთხე | 23 | ქართული | 20 | ქ. თბილისი. ე. ნინოშვილის ქ. №55 |